პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 297 (10994) | ხუთშაბათი, 19 დეკემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1957 წლის 16-17 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების შედეგების შესახებ (მომხსენებელი ამხ. მ. ა. სუსლოვი).

2. სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ვ. ვ. გრიშინი).

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი, რომლებიც დღეს ქვეყნდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ნ. ა. მუხიტდინოვი აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩია ამხანაგები ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო და ნ. ა. მუხიტდინოვი.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების შედეგების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1957 წლის 17 დეკემბერს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების მუშაობა მოსკოვში 1957 წლის ნოემბერში და მათი გადაწყვეტილებანი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უდიდეს წარმატებაა წარმოადგენენ. თათბირებმა ცხადყვეს სოციალისტური ბანაკისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი მტკიცე დარაზმვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე. მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში კომუნისტთა უმნიშვნელოვანესი ამოცანების შემუშავება და გამოცხადება მსოფლიო ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის კონსოლიდაცია და კომპარტიებს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცება თათბირების უმნიშვნელოვანეს შედეგებს წარმოადგენენ.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა და 64 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირები, რომლებიც მოსკოვში გაიმართა, მოასწავებენ მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდიდეს იდეურ და პოლიტიკურ გამარჯვებას. ამ გამარჯვებას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ბოლო დროს საერთაშორისო რეაქცია ცოტა ღონეს როდი ხმარობდა, რათა გათიშვა შეეტანა კომუნისტურ მოძრაობაში, არეცდარევა გამოეწვია მის რიგებში. ნოემბრის თათბირების შედეგები წარმოადგენენ გადამწყვეტ დარტყმას რეაქციის ამ გეგმებისადმი.

დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი გამსჭვალულია კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით მსოფლიო სოციალისტური სისტემის ბედისათვის, საყოველთაო მშვიდობის ბედისათვის და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის და წარმოადგენენ დიდი მამობილიზებელი და მაორგანიზებელი ძალის დოკუმენტებს. გამოაცხადეს რა მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის ამოცანა მსოფლიო პოლიტიკის ძირეულ პრობლემად, კომპარტიების თათბირებმა აღნიშნეს ძირითადი მიმართულება, რომლითაც ავითარებს თანამედროვე პირობებში თავის ღონისძიებებს საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობა, მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული კაცობრიობა.

დეკლარაცია წარმოადგენს კომუნისტური პარტიების კოლექტიური გამოცდილების საფუძველზე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების მაგალითს. მუშათა მოძრაობამ მასში ჰპოვა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მიმდინარე პრობლემებისა და ახლანდელი ეპოქის მთავარი ტენდენციების მარქსისტულ-ლენინური შეფასება. დეკლარაცია განაზოგადებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნისა და განმტკიცებისათვის სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მუშაობის გამოცდილებას. ამასთან ერთად მასში შეჯამებულია კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აგრეთვე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილება. ამრიგად დეკლარაციაში გაანალიზებულია და განზოგადებულია მთელი საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოცდილება ფაქტიურად მთელ ომისშემდგომ პერიოდში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დასკვნებმა და დებულებებმა თანამედროვე საერთაშორისო განვითარების უმნიშვნელოვანეს პრინციპულ საკითხებზე მომმე კომპარტიების სრული მხარდაჭერა ჰპოვეს, რაც მოწმობს მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის იდეურ ერთიანობასა და დარაზმულობას.

თათბირების დოკუმენტებში გამოთქმული მზადყოფნა კომუნისტებისა ითანამშრომლონ ყველა პარტიასთან, მოძრაობასთან და ცალკეულ პირებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, ხელს შეუწყობს მუშათა კლასის გარშემო მთელი მშვიდობისმოყვარე, ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებას, მსხვილი კაპიტალის აგრესიული მონოპოლისტური ჯგუფების, როგორც გამალებული შეიარაღების მთავარი დამნაშავეების, ახალი მსოფლიო ომის მზადების გეგმების ორგანიზატორებისა და სულისჩამდგმელების იზოლაციას.

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შესაძლებელია თანამშრომლობა და მოქმედების ერთიანობა კომუნისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის როგორც მუშათა კლასის უახლესი ინტერესებისათვის ბრძოლაში, ისე აგრეთვე ძალაუფლების მოპოვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. მშრომელთა ინტერესები, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესები დაბეჯითებთ მოითხოვენ, რომ ეს მოწოდება მოქმედების ერთიანობისადმი გაიგონოს ყველა გულწრფელმა სოციალისტმა, მუშათა მოძრაობის ყველა მონაწილემ და მოღვაწემ.

კომუნისტური პარტიების იდეური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეკლარაციის მითითებებს, რომ საჭიროა მტკიცე ბრძოლა რევიზიონიზმის წინააღმდეგ როგორც თანამედროვე პირობებში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებში მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, აგრეთვე დოგმატიზმისა და სექტანტობის დაძლევა. ის გარემოება, რომ დეკლარაციაში განმარტებულია საკითხები სოციალისტური რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის მთავარ კანონზომიერებათა შესახებ, რომლებიც ახასიათებს სოციალიზმის გზაზე დამდგარ ყველა ქვეყანას, და სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების შესახებ, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების საჭიროებისა და მათი ურთიერთობის პრინციპების შესახებ; მსოფლიო სოციალისტური სისტემის დიდი ისტორიული მნიშვნელობისა და მისი შემდგომი განმტკიცების საჭიროების შესახებ; სოციალიზმზე ქვეყნების გადასვლის სხვადასხვა ფორმის შესახებ, — აიარაღებს კომუნისტურ პარტიებს მძლავრი თეორიული იარაღით სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში და ლახვარს სცემს ოპორტუნისტებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს თათბირების უდიდეს მნიშვნელობას ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის. თათბირების დასკვნა, რომ საჭიროა ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრებთან და ორმხრივ საფუძველზე ურთიერთ ინფორმაციის გაცვლასთან ერთად მოეწყოს კომუნისტური და მუშათა პარტიების უფრო ფართო თათბირები, სავსებით შეესაბამება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებს და მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ამ მოძრაობის წინაშე მდგომ ისტორიულ ამოცანებს.

კომპარტიების წარმომადგენელთა თათბირების მუშაობამ მკაფიოდ დაადასტურა ყველა მომმე პარტიის ღრმა სიმპათია და ნდობა ჩვენი პარტიისადმი, საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულის დღეებში ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ურყევია საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში. საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, მთელ საბჭოთა ხალხს საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ის, რომ წარმატებით აშენონ კომუნისტური საზოგადოება, განამტკიცონ ჩვენი ქვეყნისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერება, დაუცხრომლად იბრძოლონ ხალხთა შორის მშვიდობისათვის, განამტკიცონ მეგობრობა და პროლეტარული სოლიდარობა მთელი მსოფლიოს მშრომელებთან და დემოკრატიულ ძალებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი მიაჩნია უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებად, რომლებიც მოქმედების სახელმძღვანელო იქნება საბჭოთა კომუნისტებისათვის. დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტს ერთსულოვნად და მხურვალედ დაუჭირეს მხარი პარტიულმა აქტივმა და ყველა კომუნისტმა ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, პარტიული აქტივის საქალაქო და რაიონულ კრებებზე და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებს ძმურ კავშირს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან, უზრუნველყოფს ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განუყრელი შეხამების სულისკვეთებით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებისადმი, ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი მეგობრობისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

1. მთლიანად მოწონებულ იქნას თათბირების მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტები — დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი.

2. მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის საქმიანობა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირებზე.

3. წინადადება მიეცეს პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ განუმარტონ პარტიის ყველა წევრსა და მშრომელებს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირების მნიშვნელობა და მათ მიერ მიღებული დოკუმენტების შინაარსი, თათბირების შედეგების გარშემო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმართონ მასების შემდგომი მობილიზაციისათვის, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, გაძლიერდეს სსრ კავშირის მშრომელთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან მეგობრობის სულისკვეთებით.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1957 წლის 17 დეკემბერს

ჩვენი ქვეყნის გმირმა მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოახდინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, შექმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, დაიცვა იგი ყველა მტრისაგან, ააშენა სოციალისტური საზოგადოება. სსრ კავშირის მუშათა კლასის ყველა სახელოვან საქმეში, საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე სოციალიზმის დიად გამარჯვებებში დიდი როლი შეასრულეს პროფესიულმა კავშირებმა, რომლებიც მშრომელთა მილიონიანი მასებისათვის გახდნენ აღზრდის ნამდვილი სკოლა, მართვისა და მეურნეობის გაძღოლის სკოლა, კომუნიზმის სკოლა.

საბჭოთა პროფკავშირები სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ეწეოდნენ და ეწევიან მშრომელებში მრავალმხრივ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას, აერთიანებენ და რაზმავენ მათ პარტიის მიერ დასახული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად. პროფკავშირები დაეხმარნენ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოეზარდათ და დაეწინაურებინათ მუშათა კლასიდან სამეურნეო ხელმძღვანელთა მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები. პროფკავშირების აქტიური მონაწილეობით მასობრივი ხასიათი მიეცა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის შეჯიბრებას, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, სოციალისტური მრეწველობის ყველა დარგის და უწინარეს ყოვლისა ჩვენი ეკონომიკის საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. პროფკავშირებმა ბევრი რამ გააკეთეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. მთელ თავიანთ საქმიანობაში პროფესიული ორგანიზაციები ემყარებიან ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვების შემდეგ მის უმთავრეს და უძირითადეს ინტერესს შეადგენს პროდუქტთა რაოდენობის გადიდება, საზოგადოების საწარმოო ძალთა უდიდესი რაოდენობით გადიდება“. (თხზ., ტ. 33, გვ. 213).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს დიდი ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის შემდგომი სრულყოფისათვის. ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების მოწყობამ და მათში სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ გააძლიერა მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა. გაიზარდა ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო მშენებლობაში. ლიკვიდირებულია უწყებრივი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიდნენ საქმეს, დაისახა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა კიდევ უფრო სწრაფი განვითარების ახალი შესაძლებლობანი.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რამაც უკვე მოგვცა თავისი პირველი დადებითი შედეგები, საშუალებას იძლევა უკეთ და უფრო სრულად, უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე დღემდე, გამოვიყენოთ ჩვენი სამშობლოს დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრე, კიდევ უფრო გავაძლიეროთ სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების ტემპები. ამით შეიქმნა კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები, რათა ისტორიულად უმოკლეს ვადაში გადაიჭრას სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. სოციალისტური წყობილების უპირატესობებზე დაყრდნობით ჩვენს ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს და კიდევაც უნდა მიაღწიოს მომავალ 15 წელიწადში ინდუსტრიის გადამწყვეტი დარგების ერთიორად-ერთისამად ზრდას, უზრუნველყოს უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა და მშრომელთა ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

ამ პირობებში სულ უფრო იზრდება როლი და მნიშვნელობა საბჭოთა პროფკავშირებისა, როგორც სსრ კავშირის მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციისა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 49 მილიონზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა ამ ბოლო დროს გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა. მათი აქტიური მონაწილეობით გაიზარდნენ წარმოების ნოვატორთა რიგები, წარმოიშვა და განვითარდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები, დასმულია და წარმატებით წყდება მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები შრომისა და ხელფასის დარგში, გაძლიერდა პროფკავშირთა როლი საბინაო მშენებლობის იმ პროგრამის განხორციელებაში, რომელიც პარტიამ დასახა, მაგრამ პროფკავშირული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საბჭოთა პროფკავშირების მთელი საქმიანობა, კიდევ უფრო ამაღლდეს მათი როლი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

პროფესიული კავშირები მოწოდებული არიან გაძლიერონ საქმიანობა მშრომელთა ჩასაბმელად წარმოების მართვაში, კიდევ უფრო აამაღლონ მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, რომელიც მოხმარდება კომუნიზის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ ისინი კომუნისტური პარტიის გარშემო. პროფკავშირთა ცენტრალური ამოცანაა მასების მობილიზაცია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვითი ძალის შემდგომი განმტკიცებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში უმკაცრესი ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის, ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებისათვის საბრძოლველად, რათა სწრაფად გაიზარდოს სამრეწველო და საბჭოთა-სამეურნეო წარმოება, შემდგომ ამაღლდეს მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფისა და კულტურის დონე.

I. სამეურნეო მშენებლობაში პროფკავშირთა როლის ამაღლების შესახებ

სოციალისტურ სახელმწიფოში მშრომელები მართავენ ფაბრიკებს, ქარხნებს, შახტებს, საბჭოთა მეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და სხვა საწარმოებს, რომლებიც საყოველთაო-სახალხო საკუთრებას შეადგენენ, უწინარეს ყოვლისა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით. ამასთან ერთად წარმოების მართვაში მონაწილეობისათვის მუშათა მოზიდვის საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ პროფესიული კავშირები, რომელთა მეშვეობით მუშათა კლასი ახორციელებს კონტროლს სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობისადმი, რომელნიც მართავენ წარმოებას ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე.

წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა, კომუნისტური მშენებლობის ნაცადი მეთოდი სოციალისტური შეჯიბრებაა. აღნიშნავს რა პროფკავშირთა დიდ მუშაობას სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამასთან ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ შეჯიბრების ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი, ნაკისრი ვალდებულებანი ყოველთვის არ არის განმტკიცებული ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით ადამიანებთან, კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებით.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი განვითარების ინტერესები მოითხოვენ გადაჭრით აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, აყვანილ იქნას იგი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, მთავარი ყურადღება მიექცეს შეჯიბრებაში ყველა მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის ჩაბმას, ყველა მუშის მიერ გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. მთელ მუშაობას შეჯიბრების მოსაწყობად საფუძვლად უნდა დაედოს ლენინური პრინციპები: საჯაროობა, შედეგების შედარებითობა, გამოცდილების პრაქტიკული გამეორების შესაძლებლობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა და მშენებლობათა შეჯიბრების მოწყობას ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების შიგნით და ამ რაიონებს შორის. ამასთან მიზანშეწონილია დატოვებულ იქნას სხვადასხვა ეკონომიური რაიონების მონათესავე საწარმოთა, აგრეთვე წამყვანი პროფესიების მუშათა შეჯიბრება.

წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან ერთმმართველობის პრინციპი შევუხამოთ ქვემოდან კონტროლის განხორციელებას. მაგრამ მათი განხორციელების პრაქტიკაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრ საწარმოში საწარმოო თათბირების როლი დაკნინებულია, მათ იწვევენ ნაჩქარევად, მოუმზადებლად, აწყობენ უმთავრესად ბრიგადებში, უბნებზე. საერთო-საქარხნო და საამქროს თათბირებს იშვიათად იწვევენ, რაც ამცირებს მუშა-მოსამსახურეთა შესაძლებლობას მთლიანად საამქროს, საწარმოს საქმიანობის საკითხთა გადაჭრაში. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი მონაწილეობას არ იღებს საწარმოო თათბირებში, არ ასრულებს მათს გადაწყვეტილებებს, რის გამო მუშებს ეკარგებათ ინტერესი ამ თათბირებისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საწარმოო თათბირები საწარმოებში და მშენებლობებზე გადაიქცეს მუდმივმოქმედ თათბირებად, რომლებიც თავიანთ მუშაობას განახორციელებენ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ფართო მონაწილეობით, მათ შორის ადმინისტრაციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააუმჯობესონ საწარმოო თათბირებისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლონ მათი როლი და ავტორიტეტი, გაძლიერონ მათი გადაწყვეტილებების ქმედითობა. საწარმოო თათბირების მუშაობა უნდა დავუქვემდებაროთ სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, წარმოების შინაგანი რეზერვების ყველაზე სრულად გამოყენების, მუშებისათვის მაღალნაყოფიერი შრომის პირობების შექმნის, საწარმოთა და მშენებლობათა მართვის მეთოდების გაუმჯობესების ამოცანებს. თათბირებზე მიზანშეწონილია განხილულ იქნას საწარმოო გეგმები, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, პროდუქციისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, ტექნიკური დანორმვის, კაპიტალური მშენებლობის, შიდასაქარხნო მართვის გაუმჯობესებისა და სხვა საკითხები.

წარმოების, შრომის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების უმნიშვნელოვანესი საკითხები ასახულია კოლექტიურ ხელშეკრულებებში, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოთა კოლექტივებისა და ადმინისტრაციის ურთიერთ ვალდებულებებს. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა უნდა გააუმჯობესონ ამ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა, უზრუნველყონ როგორც ადმინისტრაციის, ისე მუშათა კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უთუო შესრულება, რეგულარულად, ფართო აქტივის მიზიდვით შეამოწმონ მათი შესრულება, აცნობონ მუშებსა და მოსამსახურეებს შემოწმების შედეგები.

საჭიროა გაძლიერდეს პროფკავშირთა მუშაობა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგებში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ჩასაბმელად, წარმოართოს მათი შემოქმედებითი ინიციატივა სახალხო მეურნეობაში რეზერვების გამოსავლინებლად, წარმოების ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. უზრუნველყოფილ იქნას სასტიკი კონტროლი რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დროზე განხილვისა და დანერგვისადმი, წარმოებულ იქნას მტკიცე ბრძოლა ამ საქმისადმი უდარდელი, ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტებთან. გაუმჯობესდეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ხელმძღვანელობა, გაძლიერდეს მათი როლი მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შესწავლასა და გავრცელებაში, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობის განვითარებაში.

საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭოებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში წარმოების, შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხთა განხილვაში. საწარმოო გეგმების პროექტებზე წინადადებათა მომზადებისას და შრომისა და ყოფაცხოვრების მიმდინარე საკითხთა განხილვისას საგანგებო ორგანოები მოვალენი არიან გაითვალისწინონ პროფკავშირული კომიტეტების აზრი. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, აგრეთვე საოლქო და სამხარეო აღმასკომებმა უნდა განიხილონ საწარმოთა წლიური გეგმების პროექტები პროფკავშირთა შესაბამისი კომიტეტებისა და საბჭოების წარმომადგენლების მონაწილეობით მას შემდეგ, რაც ამ პროექტებს განიხილავენ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, კონფერენციებზე ან საწარმოო თათბირებზე.

იმის გამო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობა უშუალოდ ეხება მუშა-მოსამსახურეთა სასიცოცხლო ინტერესებს, დაწესდეს, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიღებულ უნდა იქნას კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ ერთად.

II. მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება პროფკავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

პროფესიული კავშირების აქტიური დახმარებით პარტიამ და მთავრობამ ამ უკანასკნელ ხანს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის: გადიდდა მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, შემცირდა სამუშაო დღე უქმისწინა და დასვენებისწინა დღეებში, ხორციელდება შვიდი საათის, ხოლო მიწისქვეშა სამუშაოებზე — ექვსი საათის სამუშაო დღის შემოღება, გადიდდა პენსიები და დახმარება, დასახულია და წარმატებით წყდება ამოცანა, რომ უახლოეს 10-12

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მშვიდობისათვის პროლეტარიატის ბრძოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„...მთელი ჩვენი პოლიტიკისა და პროპაგანდის მიზანია სრულიადაც არა ის, რომ ხალხები ომში ჩავითრიოთ, არამედ ის, რომ ბოლო მოვუღოთ ომს“.

ვ. ი. ლენინი.

„მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, გააერთიანებენ თავიანთ ლონისძიებებს, გააძლიერებენ სიფხიზლეს ომის გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ, ბოლომდე შეიგნებენ, რომ მათი წმიდა ვალია გააძლიერონ ბრძოლა საფრთხეში მყოფი მშვიდობის დასაცავად“.

(მშვიდობის მანიფესტიდან).

თბილისი, მშვიდობის ქალაქი. ფოტოეტიუდი ვ. გინზბურგისა.

მშვიდობიანი თანაარსებობის

ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ, როცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში, ფაქტი გახდა ორი საზოგადოებრივი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობა.

ორი საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი პირველად წამოაყენა და მეცნიერულად დაასაბუთა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელმა ვ. ი. ლენინმა. საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტი იყო დეკრეტი ზავის შესახებ. მშვიდობისათვის ბრძოლას იმთავითვე სათავეში ჩაუდგა სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელმაც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო ძლევამოსილად წაიყვანა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

ორმოცი წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდა და იბრძვის ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის განხორციელებისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მშვიდობისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა მარტო არ არის. კიდევ რამდენიმე რგოლი მოსწყდა კაპიტალიზმის სისტემას. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

კაცობრიობის მომავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მსოფლიოში წარმოიქმნა მშვიდობის ვრცელი ზონა, რომელიც მოიცავს ყოფილ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს, რომლებმაც თავი დაღწიეს იმპერიალიზმის ბატონობას და ახლა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად იბრძვიან მშვიდობის განმტკიცებისათვის. მშვიდობისათვის იბრძვიან აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით კეთილი ნების ადამიანები.

მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს და პოპულარული ხდება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის ინიციატივით შემუშავებულ იქნა მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილი ხუთი პრინციპი, რომლებიც ერთსულოვნად მოიწონა აზიისა და აფრიკის 29 სახელმწიფოს წარმომადგენელთა ბანდუნგის კონფერენციამ 1955 წელს. ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა — ასეთია ხალხთა შორის ჯანსაღი დამოკიდებულების პრინციპები.

მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგანან კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც მშრომელებს ზრდიან ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით.

მშვიდობისა და დემოკრატიის ძალთა ერთიანობისა და სოციალიზმის დიადი ცხოველმყოფელობის დემონსტრაცია იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირები, რომლებიც მოსკოვში გაიმართა. ამ თათბირებზე მიღებული დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია, რომლებიც კაცობრიობას მოაგონებენ, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობისათვის ერთობლივ ბრძოლას და ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის დაცვას.

„ომის თუ მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი, — ნათქვამია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაში, — **მსოფლიო პოლიტიკის ძირეული პრობლემა გახდა. ყველა ქვეყნის ხალხები უდიდეს სიფხიზლეს უნდა იჩენდნენ ომის საშიშროებისადმი, რომელიც იმპერიალიზმმა შექმნა“.**

მშვიდობის მანიფესტში ნათქვამია, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემების ქვეყნები ერთმანეთს უნდა ეჯიბრებოდნენ სამშვიდობო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში და თავიანთი უპირატესობანი დამტკიცონ არა ბრძოლის ველზე, არამედ პროგრესისათვის, ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის შეჯიბრებაში.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს ორი სისტემის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. იგი ხხარს უმჭერს მშვიდობიან შეჯიბრებას, სწრაფად ავითარებს მეცნიერებასა და ტექნიკას, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოკლე პერიოდში დაეწიოს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამ მიმართულებით ჩვენს ხალხს დიდი საბრძოლო ამოცანები დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც არა მარტო დაადასტურა, რომ უცვლელია ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი, არამედ მოგვცა მისი შემდგომი შემოქმედებითი განვითარება.

საბჭოთა ხალხი ენერგიულად იბრძვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ყველა ღონისძიებით განამტკიცებს მშვიდობას და ხალხთა შორის მეგობრობას. ამის მკაფიო გამოხატულებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისადმი — მტკიცედ იბრძოლონ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, მიაღწიონ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო შემცირებას, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ყველა ღონისძიებით განავითარონ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, განამტკიცონ ნდობა ხალხებს შორის.

იყო დრო, როცა იმპერიალისტები ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი იმის მტკიცებით, რომ საბჭოთა ხალხის ბრძოლა მშვიდობისათვის თითქოს აიხსნება სოციალისტური სახელმწიფოს სისუსტით. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტი შექმნა და დედამიწის ორი თანამგზავრი საპლანეტთაშორისო სივრცეში გაუშვა, საბჭოთა სახელმწიფოს სისუსტეზე და საბჭოთა ტექნიკის ჩამორჩენილობაზე ლაპარაკს ვერარავინ ბედავს. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი ახლა ამერიკელ კორესპონდენტებს ამშვიდებს დაპირებით, „საბჭოთა კავშირს უახლოეს დროში დავეწევითო“.

ამრიგად, „ძალის პოზიციის“ ამერიკულ პოლიტიკას საფუძველი გამოეცალა. მაგრამ იმპერიალისტები მაინც არ ცხრებიან, ცდილობენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტით დააშინონ ხალხები, გაჰყვირიან „კომუნიზმის საფრთხის“ გაძლიერებაზე, მოუწოდებენ გამალებული შეიარაღებისაკენ და ამზადებენ ახალ გამანადგურებელ ომს.

ამერიკელ იმპერიალისტებს და მსოფლიო რეაქციონერებს რომ მშვიდობა არა სურთ, ამას მოწმობს აგრესიული ბლოკის — ნატოს საბჭოს სესია, რომელიც პარიზში გაიხსნა 16 დეკემბერს, და პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვა ამ სესიაზე.

იმპერიალისტებს სურთ გააერთიანონ თავიანთი ყველა აგრესიული ბლოკი — ნატო, სეატო, ბაღდადის პაქტი, გააძლიერონ ომის ფსიქოზი. ეს ცეცხლთან თამაშია და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა მთავრობის წერილებს მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისადმი, მოწოდებას, რომ ბოლო მოუღონ „ცივ ომს“, მტკიცედ დაადგნენ მშვიდობიანი თანაარსებობის გზას, მხარი დაუჭირონ უშიშროების განმტკიცების ქმედით ღონისძიებებს.

მშვიდობიანი თანაარსებობა კაპიტალისტური ქვეყნებისთვისაც ისევე საჭიროა, როგორც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის. ომი დიდი უბედურება იქნებოდა კაცობრიობისათვის. ხალხებმა ომი არ უნდა დაუშვან.

ლენინური პრინციპი

მანიფესტი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია, რომლებიც კაცობრიობას მოაგონებენ, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობისათვის ერთობლივ ბრძოლას და ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის დაცვას.

„ომის თუ მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი, — ნათქვამია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაში, — **მსოფლიო პოლიტიკის ძირეული პრობლემა გახდა. ყველა ქვეყნის ხალხები უდიდეს სიფხიზლეს უნდა იჩენდნენ ომის საშიშროებისადმი, რომელიც იმპერიალიზმმა შექმნა“.**

მშვიდობის მანიფესტში ნათქვამია, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემების ქვეყნები ერთმანეთს უნდა ეჯიბრებოდნენ სამშვიდობო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში და თავიანთი უპირატესობანი დამტკიცონ არა ბრძოლის ველზე, არამედ პროგრესისათვის, ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის შეჯიბრებაში.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს ორი სისტემის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. იგი ხხარს უმჭერს მშვიდობიან შეჯიბრებას, სწრაფად ავითარებს მეცნიერებასა და ტექნიკას, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოკლე პერიოდში დაეწიოს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამ მიმართულებით ჩვენს ხალხს დიდი საბრძოლო ამოცანები დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც არა მარტო დაადასტურა, რომ უცვლელია ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი, არამედ მოგვცა მისი შემდგომი შემოქმედებითი განვითარება.

საბჭოთა ხალხი ენერგიულად იბრძვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ყველა ღონისძიებით განამტკიცებს მშვიდობას და ხალხთა შორის მეგობრობას. ამის მკაფიო გამოხატულებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისადმი — მტკიცედ იბრძოლონ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, მიაღწიონ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო შემცირებას, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ყველა ღონისძიებით განავითარონ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, განამტკიცონ ნდობა ხალხებს შორის.

იყო დრო, როცა იმპერიალისტები ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი იმის მტკიცებით, რომ საბჭოთა ხალხის ბრძოლა მშვიდობისათვის თითქოს აიხსნება სოციალისტური სახელმწიფოს სისუსტით. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტი შექმნა და დედამიწის ორი თანამგზავრი საპლანეტთაშორისო სივრცეში გაუშვა, საბჭოთა სახელმწიფოს სისუსტეზე და საბჭოთა ტექნიკის ჩამორჩენილობაზე ლაპარაკს ვერარავინ ბედავს. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი ახლა ამერიკელ კორესპონდენტებს ამშვიდებს დაპირებით, „საბჭოთა კავშირს უახლოეს დროში დავეწევითო“.

ამრიგად, „ძალის პოზიციის“ ამერიკულ პოლიტიკას საფუძველი გამოეცალა. მაგრამ იმპერიალისტები მაინც არ ცხრებიან, ცდილობენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტით დააშინონ ხალხები, გაჰყვირიან „კომუნიზმის საფრთხის“ გაძლიერებაზე, მოუწოდებენ გამალებული შეიარაღებისაკენ და ამზადებენ ახალ გამანადგურებელ ომს.

ამერიკელ იმპერიალისტებს და მსოფლიო რეაქციონერებს რომ მშვიდობა არა სურთ, ამას მოწმობს აგრესიული ბლოკის — ნატოს საბჭოს სესია, რომელიც პარიზში გაიხსნა 16 დეკემბერს, და პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვა ამ სესიაზე.

იმპერიალისტებს სურთ გააერთიანონ თავიანთი ყველა აგრესიული ბლოკი — ნატო, სეატო, ბაღდადის პაქტი, გააძლიერონ ომის ფსიქოზი. ეს ცეცხლთან თამაშია და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა მთავრობის წერილებს მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისადმი, მოწოდებას, რომ ბოლო მოუღონ „ცივ ომს“, მტკიცედ დაადგნენ მშვიდობიანი თანაარსებობის გზას, მხარი დაუჭირონ უშიშროების განმტკიცების ქმედით ღონისძიებებს.

მშვიდობიანი თანაარსებობა კაპიტალისტური ქვეყნებისთვისაც ისევე საჭიროა, როგორც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის. ომი დიდი უბედურება იქნებოდა კაცობრიობისათვის. ხალხებმა ომი არ უნდა დაუშვან.

საგჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ

ვინ დაივიწყებს იმ მრისხანე დღეებს, ბრძოლის ქარცეცხლს, რომელიც ჩვენ სამამულო ომის დროს გავიარეთ. ფაშისტთა ურდოებს ვებრძოდი მოსკოვთან, სტალინგრადთან, უკრაინის პირველ ფრონტზე. საინჟინრო ბატალიონმა, რომელსაც მე ვმეთაურობდი, განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურა დნეპრის გადალახვის ოპერაციისათვის.

გამომივლია მძიმე ბრძოლები, ფრონტის ყველა საშინელება, ვხედავდი, როგორ ნადგურდებოდა ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი, ინგრეოდა სახლები, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვსპობდით მტერს და კვლავ გავაჩაღებდით მშვიდობიან შრომას, აღვადგენდით დანგრეულს.

ეს ასეც მოხდა. ომამდე ჩემი პროექტებით საცხოვრებელი სახლები აშენდა დონბასში, ომის დროს ხიდების მშენებლობაზე ვმუშაობდი, ომის შემდეგ კი კვლავ საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაზე ვმუშაობ. გამოქვეყნებული მაქვს ნაშრომები არქიტექტურის, მშენებლობის საკითხებზე. საბჭოთა არქიტექტორების ყველაზე დიდი ოცნებაა, რომ ის, რაც ჩვენი პროექტებით შენდება, არასოდეს არ დაინგრეს, მტრის ბილწი ხელი არ შეეხოს.

ამჟამად დიდი გატაცებით ვმუშაობთ მომავალი ხუთწლედისათვის ტიპური საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაზე. გვინდა ჩვენი ხალხი ცხოვრობდეს ნათელ, კეთილმოწყობილ ბინებში, მშვიდად და ბედნიერად.

ჩვენ ვისწავლეთ ბრძოლაც, შრომაც და შენებაც, მაგრამ ომი არ გვინდა, ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი შრომა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას, მშვიდობას მოხმარდეს.

დოცენტი ი. ციციშვილი,
საბჭოთა კავშირის გმირი.

გალაკტიონ ტაბიძე
საქართველოს სახალხო პოეტი

ახალი სიმღერა

არა ატომის, სიხხლის ღვრის,
მკვლელობის, უმინდობის,
არა ყიფინა-მუქარის
და ნგრევის კიდით-კიდობის,
არა წარღვნათა კიდობნის,
მტარვალთა რწმენადიდობის,
არა! ეს ხმაა მშვიდობის,
მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის!
ო, შოთა! გურამიშვილო!
ბარათაშვილო! ილია!
აკაკი! ვაჟა! თქვენი ხმა
მგზნებარე შორს გაწვდილია!
თქვენი უკვდავი სიმღერა
ჩვენს გულთან გადაზრდილია...
ეს არის ძმობის სიმღერა,
ეს სიმღერაა მშვიდობის!
რაც მსოფლიოში დღეს ხდება,
განცდებს რომ გაშლის დრო მრავალს,
მას, ვინც დარაჯობს მზენათელ
კაცობრიობის მომავალს,
ვუმღეროთ ამონათებას,
ვუმღეროთ სხივს ამომავალს...
ჩვენ გვსურს სიმღერა მშვიდობის,
მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის!
ძირს უნდობლობა ერთურთის,
ომის შხამს რომ აძლიერებს,
მიმოქრის ფრთები მშვიდობის,
ზეციერს ამიწიერებს,
რაიც კაცთ აბედნიერებს,
რაც ყოფნას ამშვენიერებს,
მშვიდობის არის სიმღერა,
მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის!

შეუმშრალი ცრემლი

ლ. დემურიშვილი.

აუცილებელი არ არის ახლო იცნობდეთ ამ ოჯახს, მთელი მისი ისტორია და ასავალ-დასავალი იცოდეთ — საკმარისია ფეხი გადააბიჯოთ ზღურბლს, რომ მაშინვე იგრძნოთ და მიხვდეთ ამ ჭერქვეშ ბედნიერება სუფევს.

ამაზე მეტყველებენ თვით კედლები, განიერი ფანჯრებიდან შემოჭრილი მზე და სინათლე, ფერადფერადი ყვავილები, ქოთნებში რომ ხარობენ, ჩაიდნის წყნარი შიშინი და დიასახლისის ფოსტლების ტკაპუნი, ხელმოტეხილი თოჯინა და თვლებზე შემდგარი სათამაშო ცხენი, აკვნის რწევა და ჩვილის ღუღუნი.

აქ ყველაფერი — ადამიანებიც, საგნებიც ბედნიერებით ცოცხლობენ და სუნთქავენ. და მაინც წეუძლებელია არ შეკრთეთ და არ შეგაკრჭოლოთ, კედელზე ორ გადიდებულ ფოტოსურათს რომ დაინახავთ, შეუძლებელია არ ჩაგაფიქროთ ამ ოჯახის დედისა და დიდედის თვალებმა, ბედნიერების შუქნათელში რაღაც სევდას, ჩუმ დარდსა და ნაღველს რომ ფარავენ.

არა, ცოცხალთა სურათებს ასეთ ჩარჩოებს არ უკეთებენ; არა ასეთი თვალები არ შეიძლება ბედნიერ დედას და მეუღლეს ჰქონდეს.

და თქვენთვის ძნელი არ არის მიხვდეთ: ეს ქორორა ვაჟკაცი, ჩარჩოდან რომ იყურება, ამ ქალის გარდაცვლილი შვილია, გვერდით, ჭარმაგი კაცი — განსვენებული მეუღლე.

დემურიშვილების ოჯახიდან სამნი იბრძოდნენ სამამულო ომში: მამა და ორი შვილი. დედაცა დარჩა წინ ოჯახის ფუძედ და ბურჯად, ომში წასულთა საფიცარად და იმედადთვით დედას კი ერთი რწმენა, ერთი იმედი ასულდგმულებდა: „გაიმარჯვებენ, დაბრუნდებიან!“.

სულერთოდ უვნებელნი დაბრუნდებოდნენ (დედას ქმარშვილი აბა როგორ გაემტება!), მაგრამ არ გაუმართლდა გუმანი: ომიდან მხოლოდ ერთი — უფროსი ვაჟი ჩამოუვიდა. მამა სევასტოპოლთან დაეცა, უმცროსი ვაჟი ბელორუსიაში დაიღუპა.

და შერჩა ამ კედლებს ეს ორი სურათი, დედის გულს — ჭრილობა სისხლშეუშრობელი.

მთელი ქვეყანა გამარჯვებას ზეიმობდა იმ გაზაფხულზე, ათას ცხრას ორმოცდახუთში. ლიზა დემურიშვილსაც ჰქონდა საზეიმო და სასიხარულო. მხურვალედ იკრავდა გულში ომიდან დაბრუნებულ ერთადერთ ნაღველს, ერთადერთ იმედს და ტიროდა.

შვილი მიხვდა, რომ ეს მხოლოდ სიხარულის ცრემლები არ იყო...

გადაიარეს იმ ბობოქარმა დღეებმა. ისევ აბოლდა, გაჩაღდა დემურიშვილების ცეცა და ღადარი. ნიკოლოზი ახლა მეცნიერი კაცია, ტექნიკური მეცნიერებათა კანდიდატი. ორი შვილი ჰყავს და დედას კვლავაც პირდება შვილიშვილებს. თვით ლიზა პენსიაზე გავიდა. შვილიშვილებისათვის ზრუნვას უნდება და გრძნობს, როგორ უთბება სისხლი ძარღვებში, ფუნჩულა ხელებს ბებერ კისერზე რომ შემოიხვევს და ჩურჩულებს „ბედნიერი ვარ“.

წლებია გასული იმ ავადმოსაგონარი დღეების შემდეგ. ადამიანებს, სოფლებს, ქალაქებს, თვით დედამიწას მოუწეშდა ნაგვემი და ნაიარევი, დედის გულს კი — ვერა და ვერა. არა, ლიზა არ ტყუის, როცა ამბობს, ბედნიერი ვარო, მაგრამ იცის — ბედნიერების ყველაზე ძვირფას წუთებშიც ამ ჭრილობით უნდა იცოცხლოს — სხვანაირად არ შეუძლია.

რა გაამთელებს შვილდაკარგული დედის გულს, სიტყვა როგორ მოუბრუნდება, ომი ახსენონ, ბომბი ახსენონ და წყევლა-კრულვა არ შეუთვალოს იმათ, ვინც ომის საფრთხეს ქმნის!

მ. მიქაძე.

სურათზე: თ. ერისთავი ალსაზრდელებთან. ფოტო გ. გოგოხიასი.

ჩვენი მომავლის ბედნიერებისათვის

— ჩვენს ბაღში რა დროსაც უნდა მობრძანდეთ, მუდამ სიცოცხლე და სიხარულია. თვალუუეუნა გოგონები და გიშერთვალა ბიჭუნები ერიამულითა და ხმაურით იკლებენ აქაურობას, მღერიან, ცეკვავენ, ერთობიან და ისვენებენ პატარები. კომუნისტური პარტია და მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ მათი ბედნიერი ბავშვობისათვის. ბავშვებს აქ ყველა პირობა აქვთ შექმნილი დასვენებისა და გართობისათვის. ბაღის ალმზრდელები თავს ევლებიან, ღვიძლი შვილებივით უვლიან მათ. პატარებს შრომისა და სწავლის ჩვევებს უნერგავენ. უდარდელი და უზრუნველია მათი ბავშვობა.

ოცდათხუთმეტი წელია ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასახელო ადამიანი აღზარდა ბაღმა: ინჟინრები, ექიმები, მხატვრები, კომპოზიტორები. ისინი ახლა ღირსეულად დგანან კომუნიზმის მშენებელთა რიგებში. როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო, ბევრი ჩვენი აღზრდილი ვაჟკაცი გმირულად იბრძოდა მის დასაცავად, ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშინ ხალხი ჩვენი მომავალი თაობის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა. საბჭოთა მეომრებს სისხლის ფასად დაუჯდათ ჩვენი მომავალი თაობის გადარჩენა:

დღეს ყველგან — ქალაქად თუ სოფლად — ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა. დიდი და პატარა სიხარულს მოუცავს. სამშობლო აყვავდა, ხალხი სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებებს აღწევს. ბედნიერი და საამური ჩვენი ცხოვრება. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ჩვენს ბავშვებს არ უნახავთ ომის საშინელება. ისინი ხალისიან, ბედნიერ ცხოვრებას დაეჩვევნენ, და ჩვენ უნდა შევუნარჩუნოთ ეს სიხალისე. მუდამ ლაღი, თავისუფალი, ვარდით ფენილი უნდა იყოს მათი მომავალი.

ომი ხალხის მტერია, ბავშვების მომავლის მტერი. მე ვისურვებდი ჩვენს ბაღში მუდამ ეხარათ ჩვენი ცხოვრების ამ ლამაზ ყვავილებს. მაშფიზლად ვიდგეთ მშვიდობის საგუშაგოზე ჩვენი ბავშვების, ჩვენი მომავლის, ბედნიერების გადასარჩენად.

თამარ ერისთავი,
თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 47-ე საბავშვო ბაღის გამგე.

იღვიძებენ

კოლონიალიზმი წარსულს ბარდება. აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებს აღარ სურთ შეურიგდნენ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ მდგომარეობას, უუფლებობის, სიღატაკის. ადამიანის მიერ ადამიანის ამუჩად ადგების სამარცხვინო რეჟიმს.

აზიის კონტინენტზე უაღრესად ღრმა სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები მოხდა. შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, კიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელთა მოსახლეობა მონოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად აზიის მოსახლეობის 44 პროცენტს შეადგენს. დამოუკიდებლობა მოიპოვეს ინდოეთმა, ბირმამ, ცეილონმა, ინდონეზიამ, სირიამ, ლიბანმა.

აფრიკა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხრივ დიდხანს ყველაზე ჩამორჩენილ კონტინენტად, კოლონიალიზმის ბასტიონად ითვლებოდა. მაგრამ ამ კონტინენტმაც გაიღვიძა და დაიწყო აქტიური პოლიტიკური ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

დამოუკიდებლობა მოიპოვეს ეგვიპტემ, ლიბიამ, სუდანმა, ტუნისმა, მაროკომ და სხვა ქვეყნებმა. შეუპოვარ ბრძოლას ეწევა თავისი განთავისუფლებისათვის ალჟირელი ხალხი. სულ უფრო ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

კოლონიზატორები არ ცხრებიან. ისინი მიმართავენ კოლონიური პოლიტიკის ახალ ფორმებს, რომლებსაც უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ. ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის საომარი ავანტიურის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა წამოაყენეს „დალესეიზენჰაუერის დოქტრინა“ იმ საბაბით, რომ თითქოს შუა აღმოსავლეთში შეიქმნა „ვაკუუმი“ (სიცარიელე) და რომ ისინი მოწოდებული არიან შეავსონ ეს სიცარიელე.

მაგრამ არაბული აღმოსავლეთის ხალხები იბრძვიან როგორც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის, ისე ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ხალხები, რომლებიც განთავისუფლებენ კოლონიალიზმის უღლისაგან ან გმირულ ბრძოლას ეწევიან განთავისუფლებისათვის, შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან რელიგიის, იდეოლოგიის, ცხოვრების წესის მიხედვით, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებს: ყველა მათგანს ერთნაირად სჭირდება მშვიდობის შენარჩუნება. აზიისა და აფრიკის ხალხებმა იციან, რომ მათ ჰყავთ უანგარო მეგობრები საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის სახით, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ სამართლიან პოლიტიკას, რაც შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს.

იმპერიალისტები ცდილობენ ყოველი საშუალებით განაგრძონ თავიანთი ბატონობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. მაგრამ უცილობელი ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ აღმოსავლეთში იმპერიალიზმის ბატონობის მზე ჩაესვენა.

ტ. გვარამაძე.

* * *

სურათზე: აღმოსავლეთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.
ნახ. ი. თოიძისა.

„სოციალისტური ქვეყნების მთავრობები და ხალხები მშვიდობიანი ახალი ცხოვრების მშენებლები არიან. ჩვენ სრულიადაც არ გვესაჭიროება ომი და გადაჭრით წინააღმდეგი ვართ ახალი მსოფლიო ომისა. საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და სხვა სოციალისტური ქვეყნები განუხრელად მიმართავენ თავიანთ ღონისძიებებს იმისათვის, რომ შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა. საბჭოთა კავშირის მიერ არაერთხელ წამოყენებული წინადადებანი შეიარაღების შემცირების, მასობრივი ოხსპობის იარაღის წარმოების, გამოცდისა და გამოყენების აკრძალვის საკითხებზე გამოხატავენ ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო პოზიციებს და ამავე დროს შეესაბამებიან მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს. ჩვენ გადაჭრით გამოვდივართ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი შეჯიბრების სასარგებლოდ, იმის სასარგებლოდ, რომ ყველა ქვეყნის ხალხები თავიანთ საშინაო საქმეებს საკუთარი სურვილის მიხედვით წყვეტდნენ“.

მაო ძე-დუნი,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.

◆

„მსოფლიოს ყველა ხალხს აქვს სიცოცხლის, პროგრესის უფლება, თავისი ბედის მოწყობის უფლება. მათ მშვიდობისა და უშიშროების უფლება აქვთ. მათ შეუძლიათ ახლა შეინარჩუნონ ყველა ეს უფლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ერთობლივად, მშვიდობით იცხოვრებენ და თავიანთ პრობლემებს მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრიან. მათ სხვადასხვა სარწმუნოება, რწმენა და იდეოლოგია აქვთ. მათ არ შეუძლიათ თავიანთი სარწმუნოება მიაღებინონ ერთიმეორეს ძალის საშუალებით ან ძალის გამოყენების მუქარით, რადგან ყოველი ასეთი ცდა საყოველთაო კატასტროფას გამოიწვევდა. ერთადერთი გზაა მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, და სიძულვილისა და ძალადობის პოლიტიკაზე უარის თქმა. ამას მოითხოვენ მორალური და ეთიკური მოსაზრებანი, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ასეთ გზას გვიკარნახებს პრაქტიკული კეთილგონიერება“.

ჯავაჰარლალ ნერუ,
ინდოეთის პრემიერ-მინისტრი.

კოლონიები

თანამშრომლობის მთავარი პრობლემა

ატომური ენერგია ხალხის სამსახურში

★ ★

პროლოგი დიდი წიგნისა

არსებობს სამხედრო ენით დაწერილი დრამის რვა ტომი. მკითხველს მოვაგონებთ „საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს", გამოცემულს მოსკოვში 1945 წელს.

ამ ტომების ეპილოგი ერთი წინადადებისაგან შედგება და მას მერვე ტომის ბოლოში ერთი სტრიქონი უჭირავს:

„ტყვე გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მიღება ყველა ფრონტზე დამთავრებულია".

ამ ერთი სტრიქონის დაწერას მოუნდა ათასოთხასი თვალმოუხუჭავი დღე-ღამე, მის დაწერაში დაწრეტილია სისხლის მდინარეები. სამაგიეროდ, მისით დაიხურა თითქმის ოთხწლიანი ტრაგედიის ფარდა და დაღლილმა ხალხმა დამშვიდებით ამოისუნთქა.

ჩვენ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა დავიწყეთ, ოკეანის გაღმა კი — ომის ჩამქრალი ვულკანის ჯურღმულებში — სამწუხაროდ, კვლავ იარაღის ჟღარუნს შეუდგნენ.

არავის არ სჭირდება იარაღის ეს ჟღარუნი. ჩვენი ბედნიერი პლანეტის ადამიანებო, მოდით, ღამეები ვათენოთ არა ტრანშეებში ტყვიამფრქვევებთან, ტყისპირებზე ქვემეხებთან, ცაში ბომბდამშენების საჭესთან, არამედ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ლაბორატორიებში, ვწეროთ არა სისხლით, არამედ მელნით, ვიწვოდეთ არა სიკვდილზე და უბედურებაზე ფიქრში, არამედ სიცოცხლეზე და კეთილდღეობაზე ზრუნვაში...

იმ ზემოთნახსენები მარადსამახსოვრო ერთსტრიქონიანი ეპილოგის დაწერიდან თორმეტ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ კაცობრიობამ ამოიკითხა პროლოგი დიდი წიგნისა, რომლის კოლექტიური ავტორია პარტია და ხალხი:

...დიდი დაძაბული მუშაობის შედეგად შეიქმნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც პირველია მსოფლიოში... დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები გზას უკაფავენ საპლანეტთშორისო მოგზაურობას... ჩვენი თანამედროვეები იმის მოწმენი ხდებიან, თუ როგორ აქცევს რეალობად კაცობრიობის უაღრესად გაბედულ ოცნებას ახალი, სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა განთავისუფლებული და შეგნებული შრომა.

და ახლა დედამიწის გარშემო მოგზაურობენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები — მშვიდობის მბრუნავი რეკლამები. სწორედ ეს არის პროლოგი იმ დიდი წიგნისა, რომელსაც ჩვენი მომავალი ეწოდება.

ვლ. თოლორდავა.

ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის პრესა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვებას.

პირველად მსოფლიოში



ატომური ქვაბის და სადგურის ყველა სხვა აგრეგატის მართვა წარმოებს მართვის საერთო პულტიდან. ს ურ ა თ ზ ე: მართვის პულტის ცენტრალური ნაწილი.

ატომგულში დაგროვებული ენერგიის ძიდება კაცობრიობის უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. ამ ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა. ატომის ენერგიამ გახსაკუთრებით ფართო გამოყენება უნდა ჰპოვოს ენერგეტიკაში, როგორც ელექტროენერგიის წყარომ.

უკვე 1954 წელს საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შექმნეს 5 ათასი კილოვატი სიმძლავრის მქონე სამრეწველო ატომური ელექტროსადგური, რომელიც პირველი იყო მსოფლიოში. ამ ელექტროსადგურის მუშაობამ ნათელყო, რომ ატომის ენერგიის ხარჯზე შეიძლება დიდი რაოდენობით გამომუშავდეს იაფი ელექტროენერგია, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას და შექმნის ყველა პირობებს სახალხო მეურნეობის დარგების ძლავრი აღმავლობისათვის.

ამჟამად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში შენდება სამი ძლავრი ატომური ელექტროსადგური, თვითეული 400-დან 600 ათას კილოვატამდე სიმძლავრისა. გარდა ამისა, შენდება მთელი რიგი ატომური ელექტროსადგურები, რომელთა სიმძლავრე 50-დან 100 ათას კილოვატამდეა.

ყველა ეს სადგური სხვადასხვა ტიპისაა და მათი მუშაობის შესწავლა შესაძლებლობას მისცემს ჩვენს სპეციალისტებს შეარჩიონ ყველაზე უფრო რაციონალური სახის ატომური ელექტროსადგური. მომავალ ხუთწლედში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება.

ატომის ენერგიამ დიდი გამოყენება ჰპოვა მრეწველობის სხვადასხვა დარგში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში. მან შეაიარაღა თანამედროვე მეცნიერება კვლევის ძლავრი საშუალებებით. მრავალი საკითხი, რომელთა გარკვევა დაუძლეველ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ე. წ. ნიშანდებული ატომების გამოყენების წყალობით ამომწურავად იქნა შესწავლილი.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში წარმოებულ კვლევითს მუშაობაში მთელი ჩვენი ქვეყნის მეცნიერებთან ერთად ჩაბმული არიან ქართველი მეცნიერები. ეს მუშაობა უახლოეს ხანში ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ უფრო ფართოდ გაშლება, ახლო მომავალში საქართველოში მეცნიერებთა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტთან დამთავრდება საკვლევი ატომური რეაქტორის მშენებლობა. რეაქტორის არსებობა შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქიმიკოსებს, ბიოლოგებს, ნიადაგმცოდნეებს, მეცნიერების სხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე მეცნიერების საგანძურში.

ვ. გოგელაური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის თბოტექნიკური განყოფილების უფროსი.



ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი. მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი" წყალში ჩაშვების დროს.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა მოძრაობის შესახებ

18 დეკემბრის დილის 6 საათისათვის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 630-ჯერ შემოუარა დედამიწას. პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა ამავე დროს დედამიწას შემოუარა 1.130-ჯერ. მოწმენდილ ამინდში მეორე ხელოვნური თანამგზავრი შეიძლება დავინახოთ მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთ განედის 0 გრადუსიდან 30 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ 5 გრადუსიდან 22 გრადუსამდე.

მიაღწიეს სამხრეთ გეომაგნიტურ პოლუსს

16 დეკემბერს 3 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის მარხილ-ტრაქტორის მატარებელი მივიდა სამხრეთ გეომაგნიტური პოლუსის რაიონში წინასწარ გათვალისწინებულ ადგილას — 78 გრადუსი და 27 მინუტი სამხრეთი განედი, 106 გრადუსი და 52 მინუტი აღმოსავლეთი გრძედი. აქ გაიხსნა ახალი სამეცნიერო სადგური ვოსტოკი, რომელზეც აღიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი.

მარხილ-ტრაქტორის მატარებლის მოძრაობა მირნიდან სადგურ ვოსტოკამდე 1.410 კილომეტრ მანძილზე სოციალისტური შრომის გმირის ა. ტრეშნიკოვის ხელმძღვანელობით, საავიაციო რაზმის თანამოქმედებით, რომელსაც ცნობილი პოლარული მფრინავი პ. მოსკალენკო მეთაურობდა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ლაშქრობა მიმდინარეობდა გამოუკვლევ უდაბნოში. სიცივე, დაბალი ატმოსფერული წნევა, ყანგბადის ნაკლებობა მამაცი საბჭოთა მკვლევარების მუდმივი თანამგზავრები იყვნენ.

მარხილის მატარებლის მოძრაობა და თვითმფრინავის ფრენა წარმოებდა ანტარქტიდის სიღრმეში, სადაც ჯერ არასდროს არ დაუდგამს ფეხი ადამიანს და სადაც არ არის არც ერთი ცოცხალი არსება.

მატარებლის შემადგენლობაში 33 კაცია. 8 მათგანი სადგურ ვოსტოკის უფროსის ვ. ავერიანოვის მეთაურობით დარჩება სადგურში და აწარმოებს მეცნიერულ მუშაობას საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის შესაბამისად. სადგურ ვოსტოკში მიტანილია სხვადასხვა მოწყობილობა სამეცნიერო კვლევისათვის, კერძოდ, იონოსფერული სადგური, პოლარული ციალის ფოტოსურათების გადასაღები კამერა, რადიოთეოდოლიტი რადიოზონდებზე დაკვირვებისათვის, სპეციალური სახლები მაგნიტოლოგებისათვის.

მარხილ-ტრაქტორის ლაშქრობის მონაწილეებმა უკვე დაიწყეს მეტეოროლოგიის მოწყობა და თვითმფრინავების ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის მომზადება.

გეომაგნიტური პოლუსის რაიონში სადგურ ვოსტოკის გახსნის შედეგად მეცნიერებს ექნებათ მეტად საინტერესო მონაცემები გეოფიზიკის, მეტეოროლოგიის, აეროლოგიისა და სხვა სამეცნიერო საკითხებზე.

ტიხონ პალიევსკი,
საკელესის კორესპონდენტი.
მირნი, 17 დეკემბერი.

ყინულმჭრელი „ლენინი"

უკვდავი ლენინის სახელი შეერქვა მშვიდობის კიდევ ერთ მოციქულს — მსოფლიოში პირველ ატომურ ყინულმჭრელს. არავის და არასოდეს არ აუშენებია ამ გემის მსგავსი რამ. საბჭოთა არქტიკული ფლოტის ფლაგმანი არა მარტო პირველი გემია ატომის ძრავით, არამედ ყველაზე დიდიც არსებულ ყინულმჭრელთა შორის.

პოლარულ ბუმბერაზს ატომგულის სათბობი ერთ წელზე მეტ ხანს ეყოფა მარაგად, თუნდაც მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი გაშლილ ზღვაში იმყოფებოდეს სწორედ ეს არის მსოფლიოში უმაგალითო ყინულმჭრელის სიახლე და ყველაზე დიდი უპირატესობა.

თითქოს აღარ უნდა გვაკვირვებდეს საბჭოთა ადამიანების გაბედული ოცნების განხორციელება, ფანტასტიკურად არ გვეჩვენებოდეს ჩვენი განვითარების დიადი პერსპექტივები. განა რა დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში პირველად გავიგონეთ ატომური ყინულმჭრელის მომავალი მშენებლობის შესახებ. ეს ხომ ჩვეულებრივი გემის მშენებლობა არ იყო, რომელიც ჩვეულებრივი ტექნოლოგიით უნდა შექმნილიყო, იგი გადატრიალებას მოასწავებდა მთელ გემთმშენებლობაში. და აი დღეს ატომის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ერთ-ერთი ნიმუში სრნამდვილად იქცა.

...ქვეყანა კონსტიტუციის დღეს ზეიმობდა. ლენინგრადის ერთ-ერთ ქარხანაში ათასობით ადამიანს მოეყარა თავი. ისინი ზეგრებილიყვნენ, რომ აღენიშნათ სამამულო მეცნიერება და ტექნიკის კიდევ ერთი დიდი წარმატება, ატომის ენერგიით მომუშავე ყინულმჭრელ „ლენინის" წყალში ჩაშვება.

ამ გემს 700-მდე ქარხანა აშენებდა. შეიძლება ითქვას, რომ მას ქმნიდა მთელი ჩვენი ქვეყანა. კიდითკიდემდე გაისმა მგრგვინავი „ვაშა", და დიდი ბელადის სახელობის გემი ჩაეშვა წყალში...

ატომური ყინულმჭრელის შექმნა კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების უდიდეს განვითარებას, სამამულო მეცნიერების შესანიშნავ მიღწევებს, საბჭოთა სახელმწიფოს მესწრაფებას მშვიდობისაკენ.

ყინულმჭრელის აგება ადასტურებს, რომ ჩვენს მშვენიერ სამშობლოში სრულდება კაცობრიობის ყველაზე გაბედული ოცნებები. შორს აღარ არის დღე, როდესაც ჩვენი მეცნიერების ბრწყინვალე შედეგი — ყინულმ ჭ რ ე ლ ი „ლენინი" გააპობს ოკეანის ყინულოვან მთებს და მის ფლაგშტოკზე ამაყად იფრიალებს ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო წითელი ალამი, მშვიდობის დიადი სიმბოლო.

ფელეტონი

ამერიკული პროპაგანდის გასაბრალი

უდაბნოში ერთი მეტად უწყინარი ფრინველი ცხოვრობს, საოცრად სწრაფი სირბილი იცის. ფრინველია, მაგრამ ფრენა არ შეუძლია. თუ საფრთხეში მოხვდა და გაქცევა ვეღარ შეძლო, თავს ჩარგავს ქვიშაში. რაკი მტერს ვეღარ დაინახავს — მორჩა საშიშროება თავიდან აცილებული ჰგონია!

ჩვენ ვერ ვიტყვით, სირაქლემას რა საერთო აქვს დასავლეთის ზოგიერთ დიპლომატთან, მაგრამ ერთი რამ ცხადია, როგორც სირაქლემას ფრთები, მათაც აქვთ თავი, ხოლო აზროვნება როგორღაც არ გამოუდით.

გამოუვალი ჩიხი ამერიკული პროპაგანდისა! — დღითიდღე იზრდება საბჭოთა კავშირის გავლენა. განსაცვიფრებელია მისი მიღწევები ტექნიკაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში. რას იზამ, გავარვარებულ მილს ხელის გულს ხომ ვერ დაიფარებ? როგორი ბადე უნდა ესროლო კოსმოსში გაფრენილ თანამგზავრს? იქნებ აჯობებს თვალებზე ხელები დაიფარო და საერთოდ არაფერს შეხედო? ვინმემ ხომ უნდა იფიქროს ამაზე?.. და დაინშნა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე საბჭოთა თანამგზავრების გაშვების გამო კონტრპროპაგანდის წარმოებისათვის!

მშვიდობა თქვენდა, გონიერო დიპლომატებო!.. ამერიკელ მოქალაქეს ალბათ აღარ გაუკვირდება, ასეთ ჭკუასრულ ადამიანს ქუჩაში თუ დაინახავს, თავის ნათქვამ სიტყვას დასაჯერად რომ გაიკიდება.

სად არის თქვენი საპნის ბუშტივით გაბერილი პროპაგანდა ამერიკის მოწინავე ტექნიკის შესახებ? ეს ყალბი ბუშტი კეიპ-კანავერალის პოლიგონზე მომხდარმა „ავანგარდის" აფეთქებამ ხომ არ გახეთქა! სად, ნიუ-იორკის რომელ სანაგვე ყუთში გდია თქვენი „თანამგზავრი", ამერიკული ტექნიკის პროპაგანდისტო, ბაქია გეხერლებო?

ბურუუაზიის მოწამლული ენა — ყვითელი პრესა შმორის სუნს ავრცელებს ირგვლივ: „ჩვენ საფრთხე გვემუქრება კომუნიზმის მხრივ". უნდა გ

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1957 წლის 17 დეკემბერს

(დასასრული)

წელიწადში აღმოიფხვრას ბინების ნაკლებობა. სოციალისტური სახელმწიფო ყოველწლიურად გამოჰყოფს უდიდეს სახსრებს შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკისათვის, უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანისათვის შრომის ისეთ ხელსაყრელ პირობებს, როგორიც არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მოქმედ საწარმოებში ამ მიზნებისათვის სახელმწიფოს თერთმეტ მილიარდ მანეთზე მეტი აქვს დახარჯული.

ამასთანავე ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი სუსტად ზრუნავს მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მთლიანად არ იყენებს ამისათვის არსებულ საშუალებებს, ურიგდება შრომის კანონმდებლობის დარღვევას. მთელ რიგ საწარმოებში არ წარმოებს სათანადო ბრძოლა შრომის დაცვის კანონების შესრულებისათვის, საკმაოდ არ ხორციელდება ტექნოლოგიური მოწყობილობის ჰერმეტიზაცია, მოგვარებული არ არის სავენტილაციო მეურნეობა, ხშირია შემთხვევა, რომ საექსპლოატაციოდ გადასცემენ საწარმოებსა და საამქროებს, რომლებსაც სერიოზული ნაკლი აქვთ უსაშიშრობის ტექნიკის მხრივ, არა აქვთ სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობის საჭირო კომპლექსი. სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სპეცტანისამოსით, სპეცფეხსაცმლით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მუშათა უზრუნველყოფას.

საჭიროა გავაძლიეროთ საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის მდგომარეობისათვის, შრომის კანონმდებლობის ზუსტად და განუხრელად დაცვისათვის. შრომის პირობების შემდგომი შემსუბუქება და გაჯანსაღება, მუშათა ტრავმატიზმისა და დაავადების მიზეზთა აღმოფხვრა მიჩნეულ უნდა იქნას სახელმწიფოებრივ ამოცანად. პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს კოლექტიური ხელშეკრულებების მიხედვით, სისტემატურად არღვევენ შრომის კანონმდებლობას. პროფესიულმა კავშირებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმით საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი სამთამადნო, მეტალურგიულ, ქიმიურ საწარმოებში, მანქანათმშენებლობის მრეწველობის ცხელ საამქროებში და სხვა საწარმოებში შრომის უსაშიშრო პირობების შესაქმნელად, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით.

პროფკავშირებმა სრულად უნდა გამოიყენონ შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და შრომის დაცვის მდგომარეობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების უფლებები, რომლებიც მათ აქვთ მინიჭებული, მტკიცედ მოსთხოვონ სამეურნეო ორგანოებს, რომ უთუოდ შეასრულონ ღონისძიებანი მძიმე და შრომატევად სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციის, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვის, ყველა მომუშავისათვის ნორმალური სანიტარული პირობების შექმნის დარგში. ამ მოთხოვნებში პროფკავშირები საჭირო მხარდაჭერას ჰპოვებენ პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

პროფკავშირული ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით ამ უკანასკნელ ხანს მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა მშენებლობაში, დონბასის შახტებში, შავი მეტალურგიის საწარმოებში ხელფასის მოსაწესრიგებლად, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების ხელფასის მოსაწესრიგებლად. მაგრამ შრომისა და ხელფასის დანორმვის ორგანიზაციის ნაკლოვანებათა აღმოთხვრა ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს. ზოგიერთ საწარმოში და მშენებლობაზე ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, მაშინ როცა პირიქით უნდა იყოს: შრომის ნაყოფიერების ზრდა წინ უნდა უსწრებდეს ხელფასის გადიდებას, გზას უკაფავდეს მას.

პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოები მუდამ უნდა სრულყოფდნენ მუშათა, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სისტემას, იბრძოდნენ იმისათვის, რომ ხელფასი, აგრეთვე პრემიალური სისტემა იყოს პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების გაზრდით მატერიალური დაინტერესების მძლავრი ბერკეტები, ხელს უწყობდეს საამქროებისა და საწარმოების რენტაბელურ მუშაობას, პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითს შემცირებას და ახალი ტექნიკის გამოყენებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა მუშამ იცოდეს თავისი გამომუშავების ნორმა, შეფასება, სატარიფო განაკვეთი, ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს თავისი შემოსავლის გამოანგარიშებაზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეექვსე ხუთწლედის მანძილზე შემოღებულ უნდა იქნას შემოკლებული სამუშაო დღე, პროფესიულმა კავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია ის, რომ ამ შემოღებას თან ახლდეს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, რომ იგი განხორციელდეს წარმოების მოცულობისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის შეუმცირებლად.

პროფკავშირებმა თავიანთი ორგანიზატორული მუშაობით აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის წარმატებით შესრულებას, რომელიც შემუშავებულია პარტიისა და მთავრობის მიერ, უფრო ფართოდ გაიჩაღონ შეჯიბრება ქალაქებს, მშენებლობებსა და საწარმოებს შორის, უფრო ენერგიულად გაავრცელონ სახალხო მშენებლობის გამოცდილება, დაეხმარონ ინდივიდუალურ მენაშენეებს, შეუნელებელი საზოგადოებრივი კონტროლი დააწესონ ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობისა და შეკეთების მიმდინარეობაზე, იბრძოლონ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირებისათვის. საცხოვრებელი ფართობის განაწილება საწარმო-დაწესებულებებში უნდა ხდებოდეს ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტების ერთობლივი გადაწყვეტილებით. პროფკავშირები აგრეთვე უნდა მონაწილეობდნენ იმ საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში, რომელსაც ადგილობრივი საბჭოები აშენებენ.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ გავლენა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობაზე, დაუქვემდებაროს ისინი შეუნელებელ კონტროლს, მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ სასადილოების, ბუფეტებისა და მაღაზიების ქსელის გაფართოების საკითხთა განხილვაში, მიაღწიონ მათს უფრო სწორ განლაგებას, მშრომელთა მომსახურების კულტურის ამაღლებას, კვების ხარისხის გაუმჯობესებას და მისი ღირებულების შემცირებას. სამეურნეო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები მოვალენი არიან თავის დროზე განიხილავდნენ საზოგადოებრივი კონტროლის წინადადებებს და ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს ამ წინადადებათა მიხედვით.

პროფკავშირებმა კვლავაც უნდა გააუმჯობესონ სოციალური დაზღვევის საქმე, გამოიყენონ უდიდესი სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო ამ მიზნებისათვის გამოჰყოფს, მშრომელთა მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების ინტერესებისათვის, უზრუნველყონ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურთა სწორი განაწილება. გააძლიერონ კონტროლი სამკურნალო, პროფილაქტიკურ და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ პროფკავშირებმა გააძლიერონ კონტროლი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების საქმიანობისადმი, მიიღონ მონაწილეობა მუშა-მოსამსახურეებისათვის მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიების დანიშვნაში, ყოველდღიურად იზრუნონ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, მუდმივი ურთიერთობა იქონიონ მათთან.

III. პროფკავშირთა აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საბჭოთა პროფკავშირები, ასრულებენ რა კომუნიზმის სკოლის როლს, აქტიურად უწყობენ ხელს მუშათა კლასისა და ინტელიგენციის სოციალისტური შეგნების ამაღლებას. პროფკავშირთა უშუალო მონაწილეობით შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, დიდი დახმარება ეწევათ მშრომელებს ზოგადსაგანმანათლებლო და საწარმოო-ტექნიკური დონის ამაღლებაში. უფრო მრავალმხრივი გახდა პროფკავშირთა ზრუნვა მხატვრული თვითმოქმედების, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა შვილების აღზრდისათვის, მათი დასვენების მოწყობისათვის.

მაგრამ პროფკავშირთა აღმზრდელობითი მუშაობის იდეური დონე და გაქანება ჯერ კიდევ ჩამორჩება მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს. კულტურულ-მასობრივი მუშაობა ხშირად ეწყობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანებისაგან მოწყვეტით და ჯერ კიდევ არ მოიცავს მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვან ნაწილს. პროფკავშირული ორგანიზაციები საკმაოდ არ განუმარტავენ მუშებს, რომ სოციალიზმის პირობებში მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება პირდაპირ დამოკიდებულია თვითეული მუშის საწარმოო წარმატებებზე, შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. პროფკავშირულმა ორგანოებმა მეტი ზრუნვა უნდა გამოიჩინონ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივი აზრის ძალა.

მუშათა კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები მომსახურებას უწევენ მილიონობით მშრომელთ. ამასთან ერთად ბევრ მათგანში საწარმოო-ტექნიკური და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული პროპაგანდა, მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაცია წარმოებს მწირალად, არასაინტერესოდ. საჭირო ყურადღება არ ექცევა მხატვრული თვითმოქმედების შინაარსს, იდეურ დონეს, ნაკლებად ზრუნავენ მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების კულტურული დასვენების მოწყობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გაუმჯობესდეს პროფკავშირთა აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მშრომელებში, გაძლიერდეს ბრძოლა ჩამორჩენილ შეხედულებათა და განწყობილებათა წინააღმდეგ, გაჩაღდეს ჯანსაღი ყოფაცხოვრების პროპაგანდა. პროფკავშირებმა მასები უნდა აღზარდონ საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, განუვითარონ მათ ქვეყნის ბატონპატრონის გრძნობა, აუმაღლონ პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, საზოგადოების საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნისათვის. ამ მიზნით საჭიროა პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უფრო ფართო ახსნა-განმარტება, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა, რისთვისაც მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნას კლუბების, ბიბლიოთეკების, კინოს, რადიოს, ტელევიზიის, მხატვრული თვითმოქმედების მთელი არსებული საშუალებანი და შესაძლებლობანი. პროფკავშირული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ფართო საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდა და დახმარების გაწევა ყველა მუშისათვის მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში.

პროფკავშირთა ყურადღება მიექცეს იმას, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუშაობა მშრომელთა ფიზიკური აღზრდის, უმუალოდ საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციის დარგში.

პროფკავშირებისა და კომკავშირის ერთ-ერთი ამოცანაა ახალგაზრდობაში მუშაობის გაძლიერება. მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდობის შრომის, დასვენებისა და ყოფაცხოვრების, აგრეთვე კულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს. ახალგაზრდა მუშები უნდა აღვზარდოთ შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, თავისი საწარმოსადმი სიყვარულის სულისკვეთებით, სსრ კავშირის გმირი მუშათა კლასის სახელოვან ტრადიციებზე, დაეხმარონ არჩეული პროფესიის დაუფლებასა და კულტურული ჰორიზონტის გაფართოებაში, დახმარება გაუწიონ დაუსწრებელ და საღამოს სასწავლებლებში მოსწავლეებს. ახალგაზრდობის აღზრდაში უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ კადრის მუშები, რომლებიც ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გადასცემენ თავიანთ არა მარტო საწარმოო, არამედ აგრეთვე ცხოვრების გამოცდილებას — გააფრთხილებენ მათ არასწორი საქციელისაგან.

IV. პროფკავშირთა ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლების შესახებ

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან, მრავალ სამინისტროსა და უწყებას შორის საწარმოთა ხელმძღვანელობის დაქუცმაცების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით პროფკავშირებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი თავიანთი ორგანიზაციული მუშაობის გასუმჯობესებლად. ადგილობრივი პროფორგანიზაციებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის ცენტრი გადატანილია ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროფკავშირთა საბჭოების უფლებანი და მოვალეობანი, გამსხვილდნენ მთელი რიგი პროფკავშირები, ლიკვიდირებულია აპარატის ზოგიერთი ზედმეტი რგოლი.

ამასთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ბევრი პროფკავშირული ორგანო ჯერ კიდევ ნელა გარდაქმნის თავის მუშაობას, შორს დგას წარმოების კონკრეტული საკითხებისაგან, ნაკლებად ეწევა ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას. საკავშირო პროფსაბჭო სუსტად უწევს კონტროლს თავის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ნაკლებ ყურადღებას აქცევს პროფკავშირული მუშაობის გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას.

პროფკავშირულ ორგანიზაციებში ირღვევა დემოკრატია და პროფკავშირული ცხოვრების ნორმები: რეგულარულად არ იწვევენ პროფკავშირთა კომიტეტებისა და საბჭოების პლენუმებს, მათს როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების როლს ხშირად აკნინებენ. არის ნაკლოვანებები პროფკავშირული კადრების შერჩევასა და აღზრდაში. პროფკავშირთა ბევრი კომიტეტი და საბჭო ჯეროვნად არ ზრუნავს პროფკავშირულ სამუშაოზე ახალგაზრდა, ენერგიული მუშაკების დაწინაურებისათვის, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუშათა ნდობით სარგებლობენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, საკავშირო პროფსაბჭოს პარტიულ ჯგუფს უზრუნველყონ პროფკავშირთა ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლება, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ პროფკავშირთა საბჭოებს მათი საქმიანობის ახლებურად მოწყობაში.

პროფესიული კავშირების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით მათს პირველადს ორგანიზაციებს. საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა, სამხარეო, საოლქო საბჭოებმა და კომიტეტებმა მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესონ მათდამი ხელმძღვანელობა, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ, მიაღწიონ იმას, რომ ფართო მასებს ისინი მიაჩნდეთ ახლობელ, მშობლიურ ორგანიზაციებად, რომლებსაც უნარი შესწევთ სწორად გამოხატონ და დაიცვან მშრომელთა ინტერესები, გამოიჩინონ ზრუნვა მათი ყოფაცხოვრების ყველა მხარისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიზანშეწონილად მიაჩნია გაფართოვდეს პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ფუნქციები, მხედველობაში აქვს რა, რომ მათ მიენიჭოს უფლება მონაწილეობა მიიღონ საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმების შემუშავებაში, შრომის დანორმვისა და ხელფასის ორგანიზაციის საკითხების გადაჭრაში, განახორციელონ კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვისა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი, გამოთქვან აზრი კანდიდატურების შესახებ, რომლებიც დასახელებული არიან ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე, არ დაუშვან მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თანხმობის მიუღებლად.

პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა უნდა აიგოს პროფკავშირული ცხოვრების ნორმების სასტიკი დაცვის, თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღების, კოლექტიური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის, პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევითობის საფუძველზე. საჭიროა, რომ საკავშირო პროფსაბჭო, პროფკავშირთა ცენტრალური საოლქო კომიტეტები და საბჭოები რეგულარულად აყენებდნენ მოხსენებებს თავიანთი მუშაობის შესახებ პროფკავშირთა წევრების კრებებისა და კონფერენციების ფართოდ განსახილველად. საჭიროა ამაღლდეს საერთო პროფკავშირული კრებების როლი, უზრუნველყოფილ იქნას ამ კრებებზე წარმოების, მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა. პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ კრებებში, ხელი შეუწყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებას, გულდასმით დაუგდონ ყური მუშა-მოსამსახურეთა ხმას და ანგარიში ჩააბარონ კრებებზე გამოთქმულ წინადადებათა შესრულების შესახებ.

პროფკავშირულმა ორგანოებმა მთელ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა შეიტანონ კონკრეტულობის, საქმიანობისა და მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთება. საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა პროფკავშირული აპარატის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის და პროფკავშირების წევრთა მასებთან მისი დაახლოებისათვის. პროფკავშირთა ხელმძღვანელი მუშაკები მოვალენი არიან თავიანთი დროის მეტი ნაწილი იყვნენ საწარმოებში და მშენებლობებზე, მუშა-მოსამსახურეთა შორის, გამოიჩინონ მაქსიმუმი ინიციატივა წარმოების ორგანიზაციის, მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

პროფკავშირთა მუშაობის დონის ამაღლება დაბეჯითებით მოითხოვს კადრების დაწინაურებისა და აღზრდის ძირეულ გაუმჯობესებას. უწინარეს ყოვლისა გამოცდილი, ინიციატივიანი მუშაკებით უნდა განვამტკიცოთ პროფკავშირთა საბჭოები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები. ეფექტიანად გამოიყენეთ ჩავაბათ ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალი ძალები მუშებიდან, ქალებიდან და ახალგაზრდობიდან. პროფკავშირული მუშაკები განუწყვეტლივ უნდა იმაღლებდნენ მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას და საქმიან კვალიფიკაციას.

V. საბჭოთა პროფკავშირების საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომი გაფართოება

სსრ კავშირის პროფკავშირები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რათა გააფართოონ ურთიერთობა უცხო ქვეყნების პროფკავშირებთან, განამტკიცონ მუშათა კლასის ერთიანობა და ძმური სოლიდარობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირებზე მიღებული დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი ახალ გზებს სახავენ საერთაშორისო მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და დარაზმვისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა კვლავაც უნდა გააქტიურონ თავიანთი საერთაშორისო საქმიანობა, მთავარი ღონისძიებანი მოახმარონ იმას, რომ დაძლიონ გათიშვა და მიაღწიონ საერთაშორისო მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის მოქმედების ერთიანობას ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და მისი სრული აკრძალვისათვის, მუშათა კლასის ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, ხალხთა დემოკრატიული თავისუფლებებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა პროფკავშირების ამოცანაა აქტიურად შეუწყონ ხელი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, როგორც იმ უმნიშვნელოვანესი ცენტრის განმტკიცებას, რომლის გარშემოც ხდება მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის პროგრესული ძალების კონსოლიდაცია, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და დარგობრივი პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებათა გავლენის გაფართოებასა და ავტორიტეტის ამაღლებას. ამასთან მშვიდობისათვის და მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის დარგობრივმა პროფკავშირებმა უნდა გააფართოონ მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა ცალკეული ქვეყნების პროფკავშირებთან და მშრომელებთან, მათ შორის ეროვნულ პროფესიულ ცენტრებთან, რომლებიც ემხრობიან რეფორმისტულ, კათოლიკურ და სხვა საერთაშორისო გაერთიანებებს. საჭიროა გაფართოვდეს კონტაქტები და თანამშრომლობა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების პროფკავშირებთან, რა საერთაშორისო გაერთიანებებსაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი.

საბჭოთა პროფკავშირების ყურადღება მიექცეს იმას, რომ საჭიროა ჩინეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირებთან ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, მათი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი მონაწილეობა.

საბჭოთა პროფკავშირები უფრო აქტიურად და დამაჯერებლად უნდა ეწეოდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელებში სსრ კავშირის მუშათა კლასის დიადი მიღწევების პოპულარიზაციას, სოციალიზმის უპირატესობათა პროპაგანდას. უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა იყოს მიჩნეული, ეგრეთწოდებული „სახალხო კაპიტალიზმისა“ და „შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობის“ ყალბი თეორიების, რეაქციული პროფკავშირული ლიდერების გამთიშველი საქმიანობის თანმიმდევრული მხილება, საერთაშორისო პროფმოძრაობისადმი ყოველი ღონისძიებით დახმარება კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში. საჭიროა, რომ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მოაწყოს საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის საკითხების უფრო ღრმა შესწავლა და გააცნოს სსრ კავშირის მშრომელებს საზღვარგარეთის ქვეყნების მუშათა კლასის ცხოვრება და ბრძოლა.

VI. პროფკავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ

საბჭოთა პროფკავშირების ძალა ის არის, რომ ისინი ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკით, რომელიც სოციალისტური საზოგადოების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს. პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ წარმატებით ასრულებდნენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ უხელმძღვანელებს, დაეხმარება და მხარს დაუჭერს პარტია.

ამჟამად, როცა ადგილობრივი პროფკავშირული ორგანოების უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, კიდევ უფრო ძლიერდება პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება პროფკავშირებისადმი, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მათი მუშაობის შინაარსს, უზრუნველყონ მათი კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ჯეროვნად არ აფასებს პროფკავშირების გაზრდილ მნიშვნელობასა და საქმიანობას, არ სწვდება პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის არსს, არ იჩენს საჭირო ზრუნვას იმისათვის, რომ განამტკიცოს ისინი გამოცდილი, პოლიტიკურად მოწიფეული მუშაკებით, საკმაოდ ვერ ზრდის სამეურნეო კადრებს საბჭოთა შრომის კანონმდებლობის ზუსტად დაცვის სულისკვეთებით, ყოველთვის როდი უჭერს მხარს პროფკავშირული ორგანოების სამართლიან მოთხოვნებს სამეურნეო ხელმძღვანელების მიმართ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა პროფკავშირებისადმი, იმუშაონ უწინარეს ყოვლისა პროფკავშირული კადრების დაწინაურებასა და აღზრდაზე, პროფკავშირული ორგანოების პასუხსაგებ პოსტებზე დაასახელონ საუკეთესო, ყველაზე მომზადებული მუშაკები, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი და ავტორიტეტით სარგებლობენ კომუნისტებსა და უპარტიოებში. პროფკავშირულ სამუშაოზე დაწინაურებული კომუნისტისათვის პარტიული ღირსების საქმე უნდა გახდეს ის, რომ უზრუნველყოს პროფკავშირების წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება, მოიპოვოს მასების ნდობა მათდამი ამხანაგური მოპყრობით, მათი საჭიროებების მზრუნველი დაკმაყოფილებით.

პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობაში პარტიული ორგანოები ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ, რომ პროფესიული კავშირები მუშა-მოსამსახურეთა უპარტიო ორგანიზაციები არიან, რომ მთელი მათი მუშაობა შენდება ფართო დემოკრატიის ბაზაზე, დარწმუნების მეთოდების საფუძველზე და რომ მათ მომართ მით უფრო შეუწყნარებელია მბრძანებლობა და წვრილმანი მეურვეობა. პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან უნარიანად წარმართონ პროფკავშირული ორგანოების საქმიანობა, ყოველთვის დაეხმარონ მათ მათი ფუნქციების შესრულებაში, ყოველნაირად წაახალისონ და განავითარონ თვითმოქმედება და ინიციატივა მათს მუშაობაში, განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი იმ კომუნისტი სამეურნეო მუშაკებისადმი, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ პროფესიულ ორგანიზაციებს და ცდილობენ დაამცირონ მათი როლი.

რადგან პარტია თავის გავლენას პროფკავშირული ორგანიზაციების მთელ საქმიანობაზე ახორციელებს პროფკავშირების წევრი კომუნისტების მეშვეობით, პლენუმი ავალებს პარტიულ კომიტეტებს გააძლიერონ პარტიის ყველა წევრის პასუხისმგებლობა პროფკავშირებში მუშაობისათვის, გააუმჯობესონ სკკპ წესდების შესაბამისად არჩევითს პროფკავშირულ ორგანოებში შექმნილი პარტიული ჯგუფების პრაქტიკული საქმიანობა. პროფკავშირების საქმიანობაში თავიანთი აქტიური მონაწილეობით კომუნისტებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ მათი მუშაობა და ამით გაძლიერონ მათი როლი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა პროფკავშირები, კიდევ უფრო გაძლიერებენ რა თავიანთ როლს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, კვლავაც აქტიურად დაეხმარებიან პარტიას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, იმაში, რომ მათი შემოქმედებითი ძალები და ენერგია მობილიზებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის.

რედაქტორი პ. რატიანი.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 03596

1